თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა

კომისიის სხდომის

ოქმი N 5

ქ. თელავი 2019 წლის 21 მაისი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე ლევან კოჭლოშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გიგა მამუკელაშვილი, იოსებ პარწიკანაშვილი, ნიკოლოზ მაისურაძე, გიორგი ქიზიყელაშვილი, მიხეილ გრემელაშვილი, ლევან ლილუაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: ა.ა.იპ თელავის მუნიციპალიტეტის ,,ბაგა-ბაღები''-ის მართვის სააგენტოს დირექტორი თინათინ ხანჯალიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიგა ორკოდაშვილი, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - მწვანეები''- ს თავმჯდომარე გიორგი ჩაბრაშვილი, ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორები''-ს თავმჯდომარე მაია მარკოზაშვილი, საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების თავმჯდომარე დავით ღაღანიძე, ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე შათირიშვილი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუშეტის საბავშვო-ბაღში არსებული ვითარების შესახებ.

მომხს: ლ. კოჭლოშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტში 2019 წელს განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამების განხილვის შესახებ.

მომხს: ლ. კოჭლოშვილი

მოისმინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუშეტის საბავშვო-ბაღში არსებული ვითარების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: კომისიის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა თინათინ ხანჯალიაშვილს თუ რამ გამოიწვია სოფელ ბუშეტის ბაგა-ბაღის აღსაზრდელების ინტოქსიკაცია. რაზეც ა.ა.იპ თელავის მუნიციპალიტეტის ,,ბაგა-ბაღები''-ის მართვის სააგენტოს დირექტორმა განუმარტა, რომ: ელოდებიან სამხარაულის ექსპერტიზის დასკვნას რის შემდეგაც გადაწყდება რა ზომები იქნება გასატარებელი.

გადაწყვიტეს: სამხარაულის ექსპერტიზის დასკვნის შემდგომ მოხდეს აღნიშნული საკითხის განხილვა.

მოისმინეს: 2. თელავის მუნიციპალიტეტში 2019 წელს განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამების განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ლევან კოჭლოშვილმა აღნიშნა, რომ გასული ხუთი თვის განმავლობაში თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამებში დღეის მდგომარეობით უკვე გახარჯულია თანხის 70%, იმის გამო რომ არ მოხდეს ზემოთ აღნიშნული პროგრამების შეჩერება, აუცილებელია ბიუჯეტიდან გამოიყოს დამატებითი თანხა

გადაწყვიტეს: კომისიამ მიიჩნია, რომ საკითხის შესამუშავებლად ჩატარდეს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის ერთობლივი სხდომა.

კომისიის თავმჯდომარე ლევან კოჭლოშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

2019 წლის 21 მაისის სხდომაზე დასწრების

რეგისტრაცია

1. ლევან კოჭლოშვილი
2. გიგა მამუკელაშვილი
3. იოსებ პარწიკანაშვილი
4. ნიკოლოზ მაისურაძე
5. გიორგი ქიზიყელაშვილი
6. მიხეილ გრემელაშვილი
7. ლევან ლილუაშვილი
8. ბაადურ რევაზიშვილი